ცხადდება კონკურსი ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის სტიპენდიის მოსაპოვებლად

<u>გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ აღნიშნული კონკურსის ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ ერთი უნივერსიტეტის არჩევა</u>

უნივერსიტეტი	**წმინდა კირილეს და მეთოდიუსის უნივერსიტეტი ველიკო ტარნოვოში (ბულგარეთი)**
სამიზნე ჯგუფი	- სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის/სამსახურის თანამშრომლები (ცენტრალურ ან/და საფაკულტეტო დონეზე) - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები (ცენტრალურ ან/და საფაკულტეტო დონეზე)
მობილობის ენა	ინგლისური
მობილობის განხორციელების ვადა	2024/25 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
მიზანი	მონაწილეობა პერსონალის საერთაშორისო კვირეულში (7-11 აპრილი, 2025წ.)
მობილობის ხანგრძლივობა	5 სამუშაო დღე

უნივერსიტეტი	**კოიმბრას პოლიტექნიკური ინსტიტუტი (პორტუგალია)**
სამიზნე ჯგუფი	- სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის/სამსახურის თანამშრომლები (ცენტრალურ ან/და საფაკულტეტო დონეზე) - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები (ცენტრალურ ან/და საფაკულტეტო დონეზე)
მობილობის ენა	ინგლისური
მობილობის განხორციელების ვადა	2024/25 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
მიზანი	მონაწილეობა პერსონალის საერთაშორისო კვირეულში (19-25 მაისი, 2025წ.)
თემატიკა	კვლევისა და კურიკულუმის ინტერნაციონალიზაცია
მობილობის ხანგრძლივობა	5 სამუშაო დღე

<u>ნომინანტთა შესარჩევი პროცესი:</u>

- სააპლიკაციო დოკუმენტაციის შემოწმება (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- გასაუბრება კანდიდატთა შესარჩევ კომისიასთან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- საბოლოო შერჩევა (მასპინძელი უნივერსიტეტი)

<u>სააპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:</u>

1. პასპორტის ასლი;
2. ცნობა სამსახურიდან (ინგლისურ ენაზე);
3. *საფაკულტეტო დონის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლის შემთხვევაში,* რეკომენდაციის წერილი (ინგლისურ ენაზე), რომელიც გაცემული უნდა იყოს ფაკულტეტის დეკანის მიერ

4. CV **ინგლისურ** ენაზე;
5. შევსებული სამუშაო გეგმა ინგლისურ ენაზე (დანართი 1), რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს იმ ერთეულის ხელმძღვანელის მიერ (*საფაკულტეტო დონის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლის შემთხვევაში, დეკანი*), სადაც აპლიკანტია დასაქმებული.

კონკურსში მონაწილეობით დაინტერესებული რელევანტური მიმართულების ადმინისტრაციულმა პერსონალმა სააპლიკაციო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი (PDF ფორმატში) უნდა გამოგზავნოს ელ-ფოსტაზე outgoingmobility@tsu.ge **მიმდინარე წლის 7 მარტის 16 საათამდე (თბილისის დროით)!** გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ გამოგზავნილი განაცხადის შეცვლა ან/და ატვირთული დოკუმენტ(ებ)ის გამოცვლა შეუძლებელია.

გასაუბრება ჩატარდება 2025 წლის 10 მარტს, ცოცხალ რეჟიმში.

კითხვების შემთხვევაში, დაუკავშირდით საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს ელ-ფოსტაზე outgoingmobility@tsu.ge